კვირა 1 აპრილი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 72

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დოზი 15 კაპ. უკანა გვ.—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადება მიიღება «ისარი»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 6-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს არ დაუბრუნებს. ... დიდი წერილები და მოთხრობები, წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

მწუხარებით დატანჯულნი ცოლი და შვილი იაკობის: მარუსია ექვთიმეს ასული და ლეონტი იაკობის ძე სვანიძენი, შემოდ... ... იოსების ასული ... შეგიტყობინებენ ... რომ ... იაკობ ... 4 აპრილს, 12 საათზე ... წინის ეკლესიაში ...

იოაკიმე | იაკობ | ალექსის ძის სვანიძის

სულის მოსახსენებლად. (1—20—1)

28 მარტს ტფილისში გარდაიცვალა

თავადი ლეარსაბ ალექსანდრეს ძე მაღალაშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე ... მარიამ დიმიტრის ასული მაღალაშვილისა შვილებით. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე გამოსვენება ... 1 აპრილს დილის 10 საათზე ... (3—18—3)

გარდაცვალებულის ცნობილ პუბლიცისტის

დავით ივანეს ძის კეზელის

სულის მოსახსენებლად კვირას, 1 აპრილს, ნაშუადღევის 2 საათზე ... წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც მეუღლე მისი ... და მოკეთეთა პატივით მიელიან. (2—2)

24 მარტს უეცრად გარდაიცვალა ქ. ტფილისში

ალექსანდრე | სანდრო | შვიოლდენის ძე გვარჯალაძე

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მამა შვიოლდენ, ძმა მათე და დანი მინდორ და მარიამ გვარჯალაძენი ცხედრის გასვენებას მიიღებს ... შაბათს, 31 მარტს, საღამოს 6 საათზე ... 1 აპრილს, დილის 10 საათზე ... გლოვაში. (2—2)

სპეციალური მომზადება შესასვლელ გამოცდებისთვის აგვისტოს თვეში:
1. რკინის გზის სატექნიკო სასწავლებლებში (მიწერა-მოწერით);
2. კადეტთა კორპუსებში;
3. საშუალო სასწავლებლებში;
4. სიონურ და სამხედრო სასწავლებლებში.

კანცელარიის ... ცნობები ... მისამართის შეგიძლიათ.

## სამხედრო-მოსამზადებელი კურსები

ადრესი: ტფილისი, პეტერბურგის ქუჩა, № 11.

Тифлисъ, Петербургская, № 11. (10—6.—9)

## სამკურნალო

სპეციალისტ ექიმების გარდამ მოსავლელ ... ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

... ქუჩა № 5 ... ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

...—შინაგანი სნეულებისა. ... და კვირას 3—4 ს.

...—ქირურგი. ... ორშაბ. და ... 2—3 ს.

...—ყურის, ... ყოველ დღე 1—2 ს.

...—ხირურგი ... 2—3 ს.

...—სასქესო, ... შაბათის და კვირის გარდა 4—5 ს.

ანჰინოვი—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1ა ს.

კუცევი. ნერვ. სამშ., ოთხშ. და შ.ბ. 12—1 საათზე.

ნოვიცკი—ქალისა და ბავშვისა, ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.

გორაშლევიჩი. შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.

ნეუმინი—თვალისა, ორშაბ., ოთხ. პარას. 12—1 საათზე.

ინაევი. ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.

თეთრაძე—კანისა და ვენერ. ყოველდღე 1—2 საათზე.

ბოჟოვსკი — შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

მონზე—ბავშვებისა, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 საათზე.

იოსელიანი: ქალ. ორშ., ოთხ.. პარ. და კვირ. 11—12 ს.

გორობცოვა.—მასაჟი, ყოველ დღე 11—1 ს.

ნევშტორდგა—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს.

პივარსკი, ჩუდნოვსკი — კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—71)

კბილის ექიმი

ნინო რჩილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთ 5—7 საათ. ... ქუჩა, № 25. (0—72

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულის. დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ... ქუჩა № 14.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

ექიმის ... ...

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ... ქუჩა, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—80)

ექიმი

ი. ... ...

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—20)

ექიმი

გ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თგ.)

ქუთ. სასოფლო-სამეურნეო ამხ.

„კოლხიდა“

აწყდის სოფლის მეურნეთგან შემოწმებულ აბრეშუმის თესლს, ცნობილ ფირმებისას; უცხოეთიდან გამოწერილ ბოსტნისა და ბალახების თესლეულობას. (იონჯა, კოინდარი), ხეხილების და ყვავილების ნერგებს. იქვე მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი—მეაბრეშუმეობისა, ? ფუტკრეობისა, ბაღოსნობისა და სხვა. 15 მარტიდან კვირა-პარასკევობით ამხანაგობა გამართავს საუბარს სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. (30—6.—18)

კბილის ექიმი

ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (32)

ჩვენ, 150 კაცისაგან შემდგარი დურგალთა წრე დღეიდან ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ვიღებთ სადურგლო საქმეებს, ნარდად, დღიურად და ნაჭრად, რაც შეეხება მთელს შენობებს პატრონთათვის ხელმისაწვდენ ფასებში. მსურველთ მიმართონ.

1) მე-7 ნაწილში, ვახტანგის ქ. № 16, გ. კოკოლაშვილთან,

2) მე-8 ნაწილში ბ. კაპანაძეს, გონჩარის ქ. № 21;

3) მე-9 ნაწილში, ნემეცების სასაფლაოს ახლოს, საკუთარი სახლი, რკინის გზის გვერდით, ბ. შავერდაშვილს;

4) მე-1 ნაწილში, ბრევნოვიჩის ქ. № 3, დ. ვახნიაშვილს;

და 5) მე-2—3 ნაწილში—თხინვალის ქ. სახ. რატიანისა, № 3 ვ. ჩაჩანიძეს.

(2—19—1) დურგალთა არტელი.

თეატრი „რენესანსი“

(მიხაილოვის ქუჩა)

ორშაბათს, 2 აპრილს, 1907 წ. ქართულ დრამატიულ დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება ქართულად:

უპატიოსნონი არ იბადებიან

დრ. 3 მოქ. როვეტტისა თარგ. ნ. გალუსტოვისა.

საღამოს ერთი ცხვირი ხეირია.

ვოდ. 1 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

დასაწყისი საღამ. 7½ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. გამგე გ. ანაშვილი.

„რენესანსის“ თეატრში

დილის წარმოდგენა

კვირას, 1 აპრილს 1907 წელს საქველ-მოქმედო მიზნით წარმოდგენილი იქნება ქართულ დრამატიულ დასის არტისტების დ. ჩარკვიანის და დ. ივანიძის, ნიჟარაძის და ხაფაროვის მონაწილეობით და სცენის მოყვარეთა დახმარებით:

## უბრალოთ დასჯილნი

კომ. 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარ. მჭავარიანისა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი ზუსტ 12 საათზე.

(2—უ.—2) რეჟისორი ჩარკვიანი.

ქართული თეატრი „რენესანსი“.

სამშაბათს, 3 აპრილს, 1907 წ. ქართულ დრამატიულ დასის მიერ ნინო ჩხეიძის, ცაბო აბაშიძის, დ. ივანიძის და მ. ქარძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

საქველ-მოქმედო მიზნით

## უბედური ნაბიჯი

დრამა 3 მოქ. კასეევისა თარგ. შ. დადიანისა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასი 2 მ. 50 კ. ვიდრე 30 კ.

ბილეთების შეძენა შეიძლება წიგნის მაღაზიაში. „ობრაზოვანიე“-ში.

(2—უ,—2) რეჟისორი ხვიმონიძე.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ი ყ ი დ ე ბ ა

„НЕТРОНУТЫЙ УГОЛОКЪ“

Грузинскіе разсказы

Д. Ведребисели (Д- К. Маліевой)

ფასი ერთი მანეთი

(10—6.—1)

საარტისტო საზოგადოების

საკონცერტო დარბაზში, კვირას, 1-ლ აპრილს, გაიმართება

## სასულიერო კონცერტი,

რომლის შემოსავალი გადაიდება საქართველოს ეპარქიის სასულიერო წოდების ღარიბ, ქვრივ და ობლების სამზრუნველოს საშუალებათა გასაძლიერებლად. კონცერტში მონაწილეობენ გუნდები: ეგზარხოსისა, ნამესტნიკის კონვოისა და სიონის ტაძრისა. კონცერტი დაიწყება საღამოს 8 საათზე.

ბილეთები ისყიდება: სინოდის კანტორაში სამზრუნველოს მდივნის ა. დავიდოვისაგან და ეგზარხის კანცელარიის მმართველის დ. სოკოლოვისაგან, ანჩისხატის ქ. № 1, დილის 9—2 საათამდე. ალექს.-ნეველის ეკკლესიაში (9—2 საათ. და საღამოს 4—6), მღ. ალ. სიმონოვისაგან, ერეკლეს ქ. № 6, დილის 8 საღამოს 8 საათამდე და 31 მარტიდან თეატრის კასსაში.

ფასები ხელმისაწვდომია. (უ. 3—2)



ფორმანი—სურდოს წინააღმდეგ!

მეცნიერულად გამოცდილი და ექიმებისაგან არა ერთხელ აღიარებული მშვენიერ საშვალებად სურდოს წინააღმდეგ! საზღვარ-გარედ უკვე 3 წელიწადია იხმარება და მოწონებულია. ყოველ წელს ბევრ მილიონ კოლოფს ასაღებენ. ფორმანი მომზადებულია როგორც ბამბა სურდოს წინააღმდეგ. ისყიდება ყველა აფთიაქსა და საფთიაქო მაღაზიაში, პატარა კოლოფებში, 25 კაპ. თითო კოლოფი.

(3—№ 8—1) (Метцль и К° 22090)

## ტფილისი, 1 აპრილი

წარმომადგენლობითი დაწესებულების პირდაპირი დანიშნულება ყველგან კანონების გამოცემაა. მაგრამ ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, ვითომც გარდა კანონმდებლობისა მას სხვა არაფერი იარაღი არ ჰქონდეს ხელში, გავლენა იქონიოს ცხოვრების მიმდინარეობაზე და მთავრობის აგენტების მოქმედებაზე. წარმომადგენლობის დაწესებულებას ყველგან აუცილებლად ეკუთვნის, გარდა კანონთა გამოცემის უფლებისა, აგრეთვე საბიუჯეტო და შეკითხვის უფლება. შეკითხვა და ბიუჯეტი ორი ისეთი ძლიერი იარაღია სახალხო წარმომადგენლობის ხელში, რომ მათის მეოხებით ხალხის წარმომადგენლებს რეალური ძალა ეძლევათ სწორედ იმ ხაზზე დააყენონ მთავრობის პოლიტიკა და მოქმედება, რომელიც თითონ მიაჩნიათ საკეთილოდ.

ბიუჯეტი სახელმწიფოს შემოსავლის და გასავლის აღრიცხვაა. ვიდრე ბიუჯეტი არ დამტკიცდება, მთავრობას შემოსავალი არ ექნება და ვერც ვერაფერს დახარჯავს. დაუხარჯავად კი მთავრობა ვერც მოხელეებს იყოლიებს და ვერც რაიმე საქმეს გააკეთებს. ბიუჯეტის დაუმტკიცებლობა მთავრობისთვის იგივეა, რაც ადამიანის სხეულისთვის დამბლად დაცემა. ხალხის წარმომადგენლებს შეუძლიანთ უარჰყონ როგორც მთელი ბიუჯეტი, აგრეთვე იმისი ნაწილები. როცა ხალხის წარმომადგენელთ არ მოსწონთ მთავრობის პოლიტიკა საერთოდ ან კერძოდ რომელიმე განზრახვა, მაშინ ან მთლად ან ნაწილობით ბიუჯეტს დაუმტკიცებლად სტოვებენ და მთავრობა იძულებული ხდება თავისი პოლიტიკა შესცვალოს. ბიუჯეტი შინაარსის მხრივ კანონი არ არის, მაგრამ იმისი გავლენა რეალურს ცხოვრებაზე კანონებს არ ჩამოუვარდება. უფრო მეტს ვიტყვით, ბიუჯეტი ერთად-ერთი იარაღია სახალხო წარმომადგენლების ხელში, ისეთი პირობები შექმნან მთავრობის გარშემო, რომ ის იძულებული იყოს მართლა დაემორჩილოს კანონებს და ხალხის წარმომადგენელთა სურვილს.

ასე ძლიერია ბუჯეტის მნიშვნელობა თეორიულად. მაგრამ ეს თეორია იგულისხმებს, რომ სახელმწიფოს ცხოვრება მთლად უფლებრივს ნიადაგზეა დამყარებული და რომ ყოველი ფეხის გადადგმა მთავრობის აგენტებისა არსებულ კანონებთან არის შეწონილი. რუსეთი ჯერ ისევ უფლებრივ წესწყობილების გარეშე იმყოფება. რუსეთის სახალხო წარმომადგენლობას შეუძლიან არ დაამტკიცოს მთავრობისაგან წარდგენილი ბიუჯეტი, მაგრამ ეს გარემოება ვერ აიძულებს მთავრობას, თავისი პოლიტიკა შესცვალოს და სახალხო წარმომადგენლების ნებას დაემორჩილოს. რუსეთში სახალხო წარმომადგენლობას ნამდვილად საბიუჯეტო უფლება არა აქვს. ბიუჯეტი აქ ხალხის წარმომადგენლებს დასამტკიცებლად წარედგინებათ, ხოლო თუ არ დაამტკიცეს, ეს სრულიად იმას არ მოასწავებს, რომ მთავრობას ყველა შემოსავლის წყარო დაეკეტებოდეს. სრულიადაც არა. მთავრობა ხალხის წარმომადგენლებს გადააყენებს და მათის სურვილის წინააღმდეგ შეუდგება ბიუჯეტის ასრულებას.

ასეთ პირობებში რუსეთის ახალგაზრდა პარლამენტს ბიუჯეტის განხილვის ნიადაგზე, რა თქმა უნდა, არ ძალუძს,—თვალსაჩინო გავლენა იქონიოს მთავრობის პოლიტიკაზე. მთავრობამ ამ განსაცდელისაგან თავისი თავი წინასწარ უზრუნველ ჰყო იმით, რომ სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო უფლება არ მისცა. ამიტომ ის ბრძოლა, რომელიც ხალხის წარმომადგენლებისა და მთავრობის შუა სწარმოებს ბიუჯეტის შესახებ, საბიუჯეტო უფლების ფარგლებში ვერ დაეტევა. ეს ფარგლები მეტად ვიწროა იმ ბრძოლისათვის, რომლის შინაარსიც თვით უფლებრივ წესწყობილების დამყარებაა. ეს ბრძოლა სტიქიურის აუცილებლობით გაარღვევს სათათბიროს დარბაზის კედლებს და უფლებრივ ურთიერთობის გადაღმა გაჩაღდება. როდის მოხდება ეს—ამისი წინასწარმეტყველება შეუძლებელია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ორივე მხარე, როგორც მთავრობა, ისე სახალხო წარმომადგენლობა ფრთხილად ეკიდებიან საქმეს და არა ჩქარობენ. ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი სერიოზულად უმტკიცებდა სათათბიროს, თუმცა სრული საბიუჯეტო უფლება არა გაქვთ, მაგრამ ერთი მესამედი ბიუჯეტისა მაინც თქვენს ხელშიაო. სათათბიროს კარგად ესმის, რომ ნამდვილად იმას არავითარი საბიუჯეტო უფლება არა აქვს, მაგრამ იმის უმრავლესობამ ჯერჯერობით მაინც ვერა სცნო ხელსაყრელად ერთბაშად უარ ეყო მთელი ბიუჯეტი და მით პირდაპირი ბრძოლა გამოეცხადებინა მთავრობისთვის ხალხის სახელით.

დაწვრილებითი განხილვა ბიუჯეტისა კომისიაში, უეჭველია, უფრო ბრწყინვალედ გაანათებს იმ აზრს, რომ ეხლანდელი რუსეთის მთავრობა ხალხის ფულს ხალხის საკეთილდღეოდ არა ჰხარჯავს. თავის თავად ეს აზრი, ეს იდეა, რაც უნდა ძლიერ ელვარებდეს იგი, ეხლანდელ მთავრობას ვერ გასტეხავს, იმის პოლიტიკას ვერ შესცვლის, მაგრამ ხალხის გულისწყრომას კი მოაზღვავებს, ოპოზიციონურ სულს კი გაასალკდევებს და ახალ ენერგიას მისცემს იმ ძალას, რომელმაც 1905 წლის 17 ოქტომბერს აიძულა რუსეთის მთავრობა, ხალხის საკანონმდებლო უფლება აღეარებინა, და რომელსაც კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი რუსეთის სახელმწიფოში.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**პეტერბურგი.** ოპოზიციონურ პარტიათა საინფორმაციო ბიურომ დაადგინა, უკანვე წაიღოს ჯერ-ჯერობით მემარცხენეთა მიერ შეტანილი კანონ-პროექტები ამნისტიისა, განსაკუთრებულ წესებისა და საყოველთაო განათლების შესახებ.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, როგორც უკვე მოხსენებული იყო, წერილით აცნობა სახ. სათათბიროს თავმჯდომარეს, რომ კომისიების მუშაობის დროს გარეშეთა დასწრება-დაუსწრებლობა კანონის თანახმად უნდა გადასწყდესო. ეხლა სტოლიპინი სწერს სათ. თავმჯდომარეს, ვბრძანე ტავრიდის სასახლის დამცველს, რომ მან სასახლეში არ შეუშვას არავინ გარეშე პირთაგანი, იმათ გარდა, რომელთაც ნება აქვთ შესვლისაო.

**სათათბიროს სხდომა.** 30 მარტს სხდომა დაიწყო 2 საათსა და 9 წუთზე, გოლოვინის თავმჯდომარეობით. მინისტრთა ლოჟაში იყვნენ იუსტიციის და საერო განათლების მინისტრები.

სათათბირომ დაამტკიცა არჩევნები ქ. რიგისა, ყარსის ოლქისა, ჩერნიგოვის გუბერნიისა, თურგაის ოლქისა, ქ. ბაქოსი, სემიპალატინის ოლქის ადგილობრივ მკვიდრთა, თერგის ოლქის კაზაკებისა და ოლონეცკის გუბერნიისა. შემდეგ სათათბირომ განიხილა, დაარსდეს თუ არა ცალკე კომისია მთავრობის მიერ შემოტანილ სხვა და სხვა წვრილმან კანონ-პროექტის გასარჩევად. სათათბირომ ხმის უმეტესობით უარ-ჰყო ასეთი კომისია.

როდიჩევმა მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ საზოგადო სხდომები სათათბიროში იწყებოდეს ნაშუადღევის 2 საათზე. ამით კომისიებს სამუშაოდ მეტი დრო დარჩებათო. ამ აზრს წინააღუდგნენ ს.-დემოკრატები, ს.-რევოლიუციონერები, შრომის ჯგუფი და სახალხო სოციალისტები. სათათბიროს საზოგადო სხდომებს ხალხი დიდის ინტერესით თვალყურს ადევნებს და ამიტომ ამ წინადადების მიღება შეუძლებელიაო. წინადადებას მხარი დაუჭირეს კადეტებმა, ოქტომბრისტებმა და მემარჯვენეებმა.

კოლეპოვსკიმ დაიწყო: სათათბიროს საზოგადო სხდომა ეს რაღაც უსარგებლო სიტყვების რახა-რუხიაო...

თავმჯდომარემ შეაჩერა: თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ სათათბიროს, გთხოვთ გაჩუმდეთ.

წინადადება 2 საათზე სხდომის დაწყების შესახებ მიღებულ იქმნა 257 ხმის უმეტესობით 159 ხმის წინააღმდეგ. წინააღმდეგნი იყვნენ ს.-დემოკრატები, ს.-რევოლიუციონერები, შრომის ჯგუფი და პურიშკევიჩი.

სათათბირომ მოისმინა იუსტიციის მინისტრის მოხსენება სათათ. წევრების კუნსტას,-კუზნეცოვის და გერუსას სისხლის სამართალში მიცემის შესახებ.

იოსებ გესსენმა შარშანდელი მაგალითის თანახმად ამნაირი საკითხი დააყენა: აქვს თუ არა სათათბიროს უფლება, იუსტიციის მინისტრის მოხსენების შემდეგ (ამა თუ იმ წევრის პასუხის გებაში მიცემის შესახებ) წევრი თავისს წრიდან დაითხოვოს, თუ სათათბირო მოვალეა ყოველი ამისთანა საქმე არსებითად გაარჩიოს და გამოსთქვას თავისი გადაწყვეტილება. ორატორის აზრით კანონთა მუხლები ამ საქმის შესახებ ბუნდოვანი და ერთი მეორის წინააღმდეგია. ორატორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თუ ერთი დეპუტატის სათათბიროდან დათხოვნის უფლება ექმნება გამომძიებელს, მაშინ იმას მთლად სათათბიროს დათხოვნის უფლებაც ჰქონია, რადგან ამისთვის საკმაოა გამომძიებელმა სისხლის სამართალში მისცეს სათათბიროს წევრების განსაზღრული რიცხვი, რომ სათათბირო თავისს თავად დახურულად გამოცხადდესო. ორატორმა მოიყვანა სხვა საკონსტიტუციო ქვეყნების მაგალითები და სათათბიროს ურჩია ამისთანა საქმეები ნაკაზის შემდგენელ კომისიას გადაეცეს ხოლმეო.

შირსკის აზრით, საჭიროა სათათბირომ ილაპარაკოს დეპუტატების დათხოვნაზე კი არა, დაძველებულ კანონების გამოცვლაზე.

ალექსინსკის აზრით საკითხის კომისიაში გადაცემა საჭირო არ არის.

შემდეგ ილაპარაკა იუსტიციის მინისტრმა. მან დაიმოწმა კანონიც, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოს მაგალითებიც და განაცხადა, სრულიად წესიერად და კანონიერად ვიქცევითო.

პერგამენტის აზრით, სათათბირო, კანონის ძალით, ვალდებულია არსებითად გაარჩიოს გამომძიებლის დადგენილება.

დელიანოვის აზრით, მინისტრს სათათბიროს დადგენილება უბრალო რეგისტრატორამდე ჩამოჰყავს. ორატორმა საჭიროდ დაინახა გაირჩეს საკითხი ეხლავე არსებითად.

ტესლენკო. პასუხი გასცა მინისტრს. დასავლეთ ევროპაშიო, სთქვა ორატორმა, სასამართლო დეპუტატის პასუხის გებაში მიცემამდე პარლამენტს შეეკითხება ხოლმე. უფლებათა შეჯახების დროსაც საქმე საკანონმდებლო დაწესებულების სასარგებლოდ სწყდება. რუსის სათათბიროში კი არავითარ შეჯახებას ადგილი არა აქვს, რადგან გამომძიებელი პასუხის გებაში მისცემს დეპუტატს და იმისთვის სულ ერთია, დადის იგი სათათბიროში თუ არაო. მოსალოდნელია არა უფლებათა არევა, არამედ ერთი უფლების მიერ მეორის გაქარწყლება. ტყუილა იმოწმებთ სასამართლოს წესდებას. განა 40 წლის განმავლობაში აქარწყლებდნენ სასამართლოს წესდებას. (ძლიერი ტაში მარცხნივ და ცენტრში). 40 წლის განმავლობაში გამოსცეს 800-მდე დროებითი კანონი, რომელიც არღვევს სასამართლოს კანონებს. მივმართავ იმათ, ვინც კანონთა წესდებაზე ეყრდნობა,—სად არიან დამოუკიდებელი მსაჯულები? (ტაში ცენტრსა და მარცხნივ), სად არიან ნაფიცი მსაჯულები? სადაა შეურყეველი საკასაციო ინსტანცია? განა ისინი დროებით წეს რიგის ყმები არ გახდნენ? სადაა პროკურატურა, რომელიც მოწოდებულია—იყოს მტკიცე დარაჯი კანონისა? განა ჩვენ, ვინც ახლო ვდგევართ სასამართლოსთან, არ ვიცით, რომ პროკურატურა იწვრთნება იქ კი არა, სადაც კანონის ჰაერია, არამედ იქ, სადაც ჟანდარმების სასამართლოა. (ძლიერი ტაში მარცხნივ და ცენტრში). სად არიან ნამდვილი გამომძიებელნი? რამდენი დამტკიცებული გამომძიებელია სამინისტროს მიერ დანიშნული? და ამ გამომძიებლების ხელში გინდათ ჩააგდოთ სათათბიროს წევრთა ბედ-იღბალი? მე ვამტკიცებ, რომ 1864 წლის კანონთა წესდებისაგან დარჩა მხოლოდ ზედ-წარწერა და ყდა (ტაში). ვინც დაახლოვებულია სასამართლოსთან, ძლიერ სწუხს ამ ნაკლულევანებაზე, პატივს სცემს სასამართლოს, სიწმიდედ მიაჩნია იგი, მაგრამ ეს პატივისცემა ფარისევლური ამოფარება არ უნდა იყოს ისეთ კანონებისა, რომელიც კარგა ხანია, რაც დაფარულია ახალ ახალ ზედნაშენებით. სასამართლო უნდა იყოს ტაძარი, დიდებული ტაძარი, სადაც უნდა სრულდებოდეს საზოგადოების სინიდისის კულტი. მაგრამ განა ამ ტაძრიდან არ გააგდეს საზოგადოების სინიდისი? განა სინიდისის წინაშე ამ ტაძრის კარები დახშული არ არის? ქრისტემ თავის მოძღვრების დაწყების წინ ტაძრიდან გააძევა ისინი, ვინც გასაძევებელნი იყვნენ. ვინც სასამართლოს პატივისცემაზე უთითებს, მან ჯერ ამ ტაძრიდან უნდა გააძეოს ვინც გასაძევებელია, კარები გაუღოს და შიგ შეუშვას საზოგადოების სინიდისი (ძლიერი ტაში).

მიხეიდ სტახოვიჩმა მხარი დაუჭირა წინადადებას, რომ სხდომა გააგრძელონ. წინადადება მიღებულ იქმნა.

აჯემოვმა სამართალში მიცემულ დეპუტატების დანაშაულის მოტივებზე ილაპარაკა და იკითხა: ჩვენში თვითმპყრობელობაა თუ არაო? (ყვირილი მარჯვნივ, ხმები—„არ-ს, როგორ არა, არის“).

თავმჯდომარემ ზარი დაარეკუნა და სათათბიროს წეს-რიგი გაახსენა.

აჯემოვი: ის ვინც ამტკიცებს, რომ ჩვენში თვითმპყრობელობაა, ძირიანად არღვევს კონსტიტუციის წეს-წყობილებას. თუ მინისტრს სასამართლოს დიდი რეფორმების პრინციპები ასე უყვარს, რატომ ხმა მაღლა არა სთქვა, რომ საველე სასამართლო ასეთ პრინციპების წინააღმდეგია (ტაში).

ალექსინსკი: ჩვენში არც თვითმპყრობელობაა და არც კონსტიტუცია. ჩვენში ბრძოლაა თვითმპყრობელობისა და ხალხს შორის.

კარტაშევმა: მოითხოვა საკითხის უკომისიოდ ხელ ახლა გარჩევა.

ლიუტცმა პროტესტი განუცხადა ტესლენკოს სასამართლოს პროკურატურის შესახებ, ვითომდა ცალ მხრივ მსჯელობისთვის.

შახტახტინსკის აზრით ამ საკითხის განმსაზღვრელ ბედა-ბოძის მოძებნა მხოლოდ სათათბიროს შეუძლიან. სხვა არავითარი მოსაზრება სათათბიროსთვის სავალდებულო არ არისო.

შემდეგ ილაპარაკა იუსტიციის მინისტრმა

## ახალი ამბავი

✦ **მეწყერი ქართლში.** გორის მაზრაში საკორინთლოს მახლობლად არის ოსების სოფელი ჩანჩხარო, სადაც ოცი კომლი სახლობს. არის სოფელში ქვის, ხისა და მიწური სახლები. ამას წინად გლეხებს შეუმჩნევიათ, რომ სახლები ქვევით მიცურავს. ამის გამო ქვის სახლები დაუცლიათ. ეხლა ხან ხუთი სახლი ერთბაშად დაცურებულა და დამსხვრეულა. მიცურავს თურმე სხვა სახლებიც. სოფელი შიშის ზარმა მოიცვა. ბევრი ცრუ-მორწმუნოებით ამ საქმეს ავ-სულს აბრალებს.

✦ **დამშეულთა დამხმარებელი კომიტეტი.** დამშეულთა დამხმარებელ კომიტეტის დაარსების შესახებ თავ. ვ. ჩერქეზიშვილი და თავ. ა. მ. არგუთინსკი მოელაპარაკნენ საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს თავ. პ. გრუზინსკის. ვიცე-პრეზიდენტმა დანიშნა საზოგადო კრება სამეურნეო საზოგადოებისა, რომელზედაც გადასწყვეტენ ამ საქმეს.

✦ **კირიონის გადაყვანის მიზეზი.** ამ დღეებში ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორამ სინოდისაგან მიიღო მოწერილება, რომელშიაც აღნიშნულია მიზეზი ეპისკოპოს კირიონის სოხუმიდან გადაყვანისა. სინოდი სწერს, როგორც საქართველოს ექსარხოსმა ნიკონმა გვაცნობა ეპ. კირიონი სდევნიდა სოხუმის ოლქის რუსის მართლმადიდებელ სამღვდელოებას და მათ მაგიერ ქართველებს ნიშნავდაო.

✦ **სკოლის გადაწვა.** როგორც ხევსურეთიდან ამბავი მოვიდა, ამ დღეებში ვიღაცებს ცეცხლი წაუკიდებიათ ბარის ახოს სკოლის შენობისათვის, სკოლა გადამწვარა. სკოლასთან ერთად დამწვარა მასწავლებლის სადგომი.

✦ **კრების დაურთველობა.** ტფილისელ ამომრჩევლებმა (სათ. დეპუტატისა) გადასწყვიტეს გაემართათ კრება. უნდა მოელაპარაკათ უადგილოდ დარჩენილ მუშების დახმარებისა და აგრეთვე ქალაქის ხმოსნების არჩევნების შესახებ. გენერალ-გუბერნატორმა კრების ნება არ დართო იმ მოსაზრებით, რომ ამომრჩევლებს სპეციალური საქმე ჰქონდათ და თავიანთი მისსია გაათავეს.

✦ **წესდების დამტკიცება.** გუბერნატორმა 30 მარტს დაამტკიცა წესდება წვრილ ვაჭრების პროფესიონალურ კავშირისა.

✦ **კომისიის წევრები.** 30 მარტს ტფ. საბჭოს დარბაზში მოხდა კრება ხელოსნების, რომელთაც აირჩიეს თავიანთი წარმომადგენელნი დასვენება—სამუშაო დროს განმსაზღვრელ კომისიაში. ხელოსნების მხრივ არჩეულ იქმნენ ი. ი. პლინიგერი, ს. გერშოვი, პ. ი. პაპალოვი, ს. კვაჩაძე, ალ. დიმიტრიევი, მ. რაფაელოვი.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს თელავის მცხოვრები ვლადიმერ ალანის ძე მესხიშვილი (იგივე მესხი) და კონდოლის მცხოვრებნი სოლია ილარიონის ძე ალადაშვილი, კოტე სოლ. ურუშიშვილი, გიორ. ივ. ბლუაშვილი და შაქრო გიორ. [illegible]შიძე, რომელთაც ჰბრალდებათ თავდასხმა და დაჭრა (16 მარტს) კონდოლში [illegible] ოსკანოვისა. [illegible] კომლი ორ-ორი მანეთით [illegible] სოფ. ყანდაურის სოფლის საზოგადოების მცხოვრებნი. ვიატკის გუბერნიაში სამის წლით იგზავნება ა. შემახატუნიანცი. ეტაპით ტფ. საგ.-გუბერნატოროდან იგზავნებიან: ი. ვარნიძე, ა. დავბილინი, ა. დინოვიზიუკი, ა. ზავგოროდნი, ანნა ზაბოროვსკაია, პ. ბრანდებახი, ტ. ჩუპრინინი, ი. გერასიმოვი, დ. პატარკაციშვილი, ა. კოზლოვი, ა. დარსაველიძე, ა. ანდრიაძე, ი. სამადუროვი, ი. ბოგდანოვი, ზეინალ-გეი-ოღლი, ი. ბურჟანსკე, პ. აბულაძე, ნ. ლონდაძე, მაჰმუდ-ოღლი, ხილილ-ოღლი, უსო-ოღლი, სანდახ-ოღლი, ჰუსუფ ოღლი.

✦ რადგან ამ გაზაფხულზე შესაძლებელია მტკვარი ადიდდეს და ქალაქის მცხოვრებლებთ ზარალი მიაყენოს, ტფ. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა შეამზადოს საჭირო მასალა გაჭირვების დროს მცხოვრებთა დასახმარებლად.

✦ 30 მარტს სახაზინო თეატრის პირდაპირ, საღამოს 8 საათზედ, საშინელის ხმით რაღაცამ იფეთქა მიმავალ ვაგონის ქვეშ. ხალხს ეგონა, ყუმბარა გადააგდესო და ბევრი შეშინებული გარბოდა. მალე გამოირკვა, რომ პეტარდა ჩაეგდოთ ვაგონის ქვეშ.

✦ 31 მარტს ტფ. სას. სემინარიის პირველი კლასის ორი განყოფილება დაიხურა გამოურკვეველ მიზეზებისა გამო. მოწაფეებს მიეცათ ნება აგვისტოში ეგზამენების დაჭერისა შემდეგ კლასში გადასასვლელად.

✦ 30 მარტს საღამოს 10 საათზე „სემეინიე ნომრებში ნომრების მოიჯარადრემ მომცელიძემ პოლიცია შეიყვანა და დააჭერინა თავის მოსამსახურე ლევან წერეთელი, რადგანაც წერეთელს გამოუაშკარავებია გაზეთის საშუალებით ამხანაგების მონდობილობით მომცელიძეს საქციელი. მეორე დღეს მომცელიძისავე თხოვნით წერეთელი გაანთავისუფლეს.

✦ ტფ. საბჭოს ხმოსანმა ლ. გ. ევანგულოვმა ტფ. ოლქის სასამართლოს ბრალდებულის ამხანაგად დანიშვნისა გამო ხმოსნობას თავი დაანება.

✦ 20 მარტს საღამოს 9 საათზე [illegible] ლისტოკის“ რედაქციის პირდაპირ ჩხუბი [illegible] ვიდათ სამ ჯარის კაცს. ჯარის კაცები [illegible] ნეთს მუშტებით დაერივნენ. ამ დროს თა[illegible] აწყდათ ერთი აფიცერი, რომელმაც მოჩხ[illegible] ნი საკომენდანტო სამმართველოში გაგზა[illegible]

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ქუთაისის სატუსაღოში პოლიტიკურ საქმეების გამო დაპატიმრებული რაჭის მაზრის მცხოვრები გობერიძე გენ.-გუბერნატორის განკარგულებით გაანთავისუფლეს. გენერალ-გუბერნატორმავე განკარგულება მოახდინა, რომ ის ოცი

---

## ფელეტონი

### ჰენრიხ ჰეინე

#### იდეები *)

(თარგმანი გერმანულიდან)

**თავი VII.**

მეორე დღეს ქვეყანა ისევ თავის წესრიგზე დალაგდა, სწავლაც წინანდელივით იყო, გაკვეთილის გაზეპირებაც იყო წინანდელივით:—რომის მეფეები, ხრონოლოგია, nomina**) დაბოლოებით im, verba irregularia,***) ბერძნული, ებრაული, გეოგრაფია, გერმანული, ანგარიში... ...ღმერთო!—ახლაც თავბრუ მეხვევა, რომ მომაგონდება. ყველა ეს ზეპირად უნდა გვესწავლა და ამ ნასწავლიდან ზოგი რამ შემდეგ კიდევაც გამომადგა. ასე გასინჯეთ, რომის მეფეების სახელები ზეპირად რომ არ მცოდნოდა, შემდეგ სულაც არ ვინაღვლებდი იმას, ნიბურმა დაამტკიცა თუ ვერა, რომ ისინი ნამდვილად ცოცხლობდნენ ქვეყანაზე. ხრონოლოგიური წლები რომ არ მცოდნოდა, შემდეგ როგორ გავიგნებდი გზას ვეება ბერლინში, სადაც ერთი სახლი მეორეს ისე ჰგავს, როგორც ორი წვეთი წყალი ან ორი სალდათი ერთმანერთს,—სადაც ადამიანი თავის ნაცნობებს ვერ მიაგნებს, თუ გულში მათი სახლის ნომერი არა აქვს აღბეჭდილი. ამიტომ ყოველ ჩემ ნაცნობს თითო-თითო იმისთანა ისტორიულ შემთხვევას მივათვისებდი ხოლმე, რომელიც იმ წელს მოხდა, რა ნომერიც იმის სახლზე იყო დაკრული: ამნაირად, იმას რო მოვიგონებდი, ესეც ადვილად გამახსენდებოდა, და ამის გამო ვინმე ნაცნობთაგანს თვალს მოვკრავდი თუ არა, იმ წამსვე რომელიმე ისტორიული შემთხვევა გამახსენდებოდა ხოლმე; მაგალითად, ჩემ თერძს რომ შევხვდებოდი, მაშინათვე მარათონის ომი მომაგონდებოდა; დავინახავდი თუ არა კოხტად გამოპრანჭულ ბანკირს ქრისტიან გუმპელს, მაშინათვე იერუსალიმის დამხობა გამახსენდებოდა; მძიმე ვალებში ჩავარდნილ მეგობარს რომ მოვკრავდი თვალს, მაშინათვე მაჰმადის გაქცევა წარმომიდგებოდა თვალწინ; დავინახავდი თუ არა უნივერსიტეტის მსაჯულს, რომელიც ნამდვილ მართალ კაცად იყო ცნობილი, მაშინათვე ჰამანის სიკვდილი მომაგონდებოდა; დავინახავდი თუ არა ვადცეკს, იმ წამსვე კლეოპატრი გამახსენდებოდა“—ახ, დაილოცოს ღვთის სამართალი! საცოდავი ქალაჩუნა ხომ მკვდარია; საცრემლეებიც ამომშრალი გვაქვს და ტირილიც არ შეგვიძლია ამის გამო.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ხრონოლოგია ძლიერ გამოსადეგი რამ გახლავს; მე იმისთანა სულდგმულთაც ვიცნობ, რომ თავში ორიოდე რიცხვის მეტი არაფერი მოეძევებოდათ, და ამ რიცხვების შემწეობით ბერლინში სწორედ იმ სახლებს მიაგნეს, რომელიც ენატრებოდათ და დღეს სრული პროფესსორები ბძანდებიან მე კი ერთობ გამიჭირეს საქმე ამ დაუსრულებელმა რიცხვებმა. სასწავლებელში რომ ვიყავი, უბრალო ანგარიშიც მეძნელებოდა სხვაზე უფრო გამოკლება მესმოდა, იმიტომ რომ იქ ერთი მეტად სასარგებლო წესია—„სამს ოთხს ვერ გამოაკლებ, და ამიტომ ერთი უნდა ისესხოო“—შეუნიშნებოდენ; ყველას ვურჩევ ამისთანა შემთხვევაში რამდენიმე გროში მეტი ისესხოს, რადგან ვინ იცის...

ლათინურ ენას თუ მკითხავთ, ვერ წარმოიდგენთ, ქალბატონო, რა რთული საგანია. რომაელებს რომ ლათინური სასწავლი ჰქონოდათ, ქვეყნის დასაპყრობად სრულებით ვეღარ მოიცლიდენ. ამ ბედნიერმა ხალხმა ჯერ კიდევ აკვანში იცოდა, რომელ არსებით სახელს აქვს შებრალებით ბრუნვაში დაბოლოება „im“, მე კი უდიდესი გამწარებით უნდა მესწავლა ყველა ეს ზეპირად; მაგრამ მაინც არა მწყინს, რომ ვისწავლე. 1825-ს ივლისის 20-ს გეტინგენის უნივერსიტეტის ზალაში რომ ლათინურ ენის შესახებ საჯარო კამათი მქონდა—ბევრს რასმე შეიძენდით ქალბატონო, რომ დასწრებოდით—მაშინ რომ სიტყვა sinapim-ის*) მაგიერ sinapem წამცდენოდა და ამ შეცდომისათვის ახლად გამომცხვარ სტუდენტებს ყური მოეკრათ, ხომ სამუდამოდ სახელი გამიტყდებოდა. რაც შეეხება verba irregularia'-თ, ქალბატონო, verba regularia'*)-თაგან იმით განირჩევიან, რომ მათი წყალობით მეტი წკეპლა მოგხვდებათ ხოლმე: მეტად ძნელი შესასწავლი გახლავთ. ფრანცისკანთა მონასტრის თაღშეკრულ, ყრუ გვირაბ-გასავალში, სასკოლო ოთახის ახლოს, იმ დროში ერთი დიდი ნაცრის ფერ ხისაგან გამოჭრილი ქრისტეს ჯვარცმის სურათი ეკიდა; ქრისტეს მწუხარე აჩრდილი ზოგჯერ ახლაც გაივლის ხოლმე ჩემ სიზმრებში და დაღონებული, სისხლ-მორეული თვალებით მიცქერის; ხშირად გავჩერებულვარ ამ სურათის წინ და შემდეგი ვედრებით მიმიმართავს: „ოჰ, საბრალო, ჩემსავით წვალებულო, ღმერთო, თუ შეგიძლია, მიშველე რამე, რომ verba irregularia თავიდან არ გამიფრინდეს!“

ბერძნულ ენის თაობაზე ლაპარაკიც არ მსურს—ისეთი დაწყევლილი საგანია მაინცა და მაინც კი არ სტყუოდენ შუა საუკუნოებში ბერები, ხალხს რო უქადაგებდენ, ბერძნული ენა ეშმაკის მოგონილიაო. უფალმა უწყის, რამდენი ტანჯვა გამომივლია ამ ენის გამო. ებრაული კი უფრო მეადვილებოდა, რადგან ებრაელები ყოველთვის როგორღაც ერთობ მიყვარდა, თუმცა ისინი დღესაც ჯვარს აცმენ ჩემ სახელს; მაგრამ ებრაულში ჩემ უბის საათივით გამოცდილი მაინც ვერ გახლდით. საგირაო კასსების პატრონებთან იმას დაახლოვებული ნაცნობობა და კავშირი ჰქონდა და იქიდან ბევრი ებრაული ჩვეულება გამოჰყვა: მაგალითად—შაბათობით სულ არ მუშაობდა,---სალმრთო ენა კარგად შესწავლული ჰქონდა და ამ ენის გრამატიკაში სუ მუდამ ვარჯიშობდა; უძილობის დროს რამდენჯერ ყური დამიგდია მისთვის და გაოცებულვარ, როცა გაუჩერებლად ტიკტიკს მოჰყვებოდა:—კატალ, კატალტა, კატალტი—კიტტელ, კიტალტა, კიტტალტი—პოკადტი, პოკადეტი, პიკატ—პიკ—პიკ...

გერმანული კი ყველა ენებზე უფრო გესმოდა, რასაკვირველია, მაგრამ არ იფიქროთ კი, თითქო ის ადვილი, ბავშური ენა იყოს. ჩვენ, საცოდავმა გერმანელებმა, სამხედრო ბეგარით, სახელმწიფო გადასახადით და ათასნაირი სხვა და სხვა ბაჟით შეწუხებულებმა, ეგეები როდი ვიკმარეთ, ზედ მეტად კიდევ Adelung'-ი*) დავისვით კისერზე და ერთმანეთს მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვებით ვტანჯავთ. გერმანული სხვებზე უფრო მოხუცებულმა რექტორმა შალმეიერმა მასწავლა, რომელიც სასულიერო წოდების პირი და მარჯვე კაციც იყო; იგი ბავშობიდან შეუდგა ჩემ სწავლებას. ცოტა რამ პროფესსორმა შრამმაც მასწავლა, იმ კაცმა, რომელმაც საუკუნო გ[illegible] სვენების თაობაზე ერთი წიგნი დასწ[illegible] და რომლის გაკვეთილის დროს კი ჩ[illegible] ამხანაგები იქაურობას აქცევდნენ.

ახლა რომ ასე გაბედულად ვწერ და თავში სხვა და სხვა ფიქრები მომდის, შეუმჩნევლად სკოლის ძველ ამბებშიაც შევტოპე და ვსარგებლობ ამ გარემოე-

*) იხ. „ისარი“ № 66

**) ლათინური არსებითი სახელები. მთარგ.

***) არა სწორი ზმნები. მთარგ.

*) მდოგვი.

*) სწორე ზმნები.

*) გერმანელი გრამმატიკოსი. მთარგ.

№ 72

აბხაზი, რომელნიც რამდენიმე თვეა, სოხუმის ციხეში სხედან და ადმინისტრატიულის წესით უნდა გაგზავნილიყვნენ ჩრდილო გუბერნიებში, სრულებით გაანთავისუფლონ. მკითხველს უთუოდ არ დავიწყებია, რომ გუდაურიდან მოსულმა დეპუტაციამ ამას წინად სთხოვა გენერალ გუბერნატორს ამ 20 აბხაზის განთავისუფლება.

✦ ქუთაისის ქალაქის საქმეთა საკრებულოს არ დაუმტკიცებია სოხუმის ქალაქის ამომრჩევლების სია და უკანვე დაუბრუნებია შესასწორებლად. ამ ნაირად ხმოსანთა არჩევანი აპრილში აღარ მოხდება.

✦ თანხმად შავი ქვის მრეწველთა საბჭოს გარდაწყვეტილებისა, აპრილის პირველ რიცხვებში პეტერბურგს მიდის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ზდანოვიჩი. ზდანოვიჩს მინდობილი აქვს იშუამდგომლოს სესხის შესახებ, ურომლისოდაც საბჭოს საქმეთა ნორმალური მსვლელობა შეუძლებელია; გარდა ამისა ზდანოვიჩი სათანადო დაწესებულებაში განაახლეებს შუამდგომლობას ტარიფის დაკლების, ჭიათურის შტოს გადაკეთების და სხვა საქმეების შესახებ. ამ ნაირად მრეწველთა კრება, რომელიც განზრახული იყო აპრილში, გადაიდება მაისისათვის.

შავი ქვის მრეწველთა საბჭომ განიხილა ა. გამრეკელისა და ილ. კაკაბაძის მიერ მოხდენილი რევიზია ჭიათურის საავადმყოფოს შესახებ. რევიზიის აქტის პირი გაეგზავნა საავადმყოფოს გამგეს და მოსამსახურეთა ბიუროს: პირველს—ახსნის წარმოსადგენად რევიზიის შენიშვნების შესახებ, ხოლო მეორეს—მისთვის რომ მსჯელობა იქონიოს საავადმყოფოში გამეფებულ წეს-რიგის შესახებ და თავისი დასკვნა აცნობოს საბჭოს.

✦ ქუთაისის საქალაქო საქმეთა საკრებულომ განიხილა სოხუმის ქალაქის გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი ქალაქის განათებისა ელექტრონით და ის აზრი დაასკვნა, რომ ქალაქის განათების პირობები საჯაროდ უნდა გამოცხადდეს და შემდეგ ამისა ქალაქს შეუძლია აირჩიოს ყველაზე ხელ-საყრელი ვონდიცები.

✦ ქალაქის გამგეობამ სადორიის აგარაკში საძოვარი ადგილები გასცა 190 მანეთად წელიწადში.

✦ საურთი-ერთო ნდობის საზოგადოების წევრთა კრება დანიშნული 8 აპრილისათვის. კრება შესდგება რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს, რადგან მეორედ არის დანიშნული. 25 მარტს, როცა პირველი კრება იყო დანიშნული, გამოცხადებულ წევრებს თათბირი ჰქონდათ საზოგადოების საქმეებზე და, სხვათა შორის, აურჩევიათ 20 კაცის, რომელთაც უნდა დაასახელონ კაცი გამგეობის თავმჯდომარის ადგილზე. ამათ კანდიდატად გამგეობის თავმჯდომარის ადგილზე დაუსახელებიათ აზოვ დონის აქაურ განყოფილების გამგე ტერ-ზახაროვი, თავადი ანდრია ერისთავი, დ. ლორთქიფანიძე და სხვანი.

✦ ამ ცოტა ხანში ფოთში გამოვა რუსულ ენაზე ყოველ კვირეული მემარცხენე ჟურნალი, სახელად „პრიიონსკი კრაი“.

✦ წიგნების მაღაზია „კოლხიდა“. დღემდის დაკეტილია. პოლიციის მიერ წაღებულ წიგნების განსახილველად გუბერნატორს დაუნიშნავს კორნეტ კობეიშვილის თავმჯდომარეობით კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ პოლიცმეისტერი ზუბოვი და ჟანდარმის განყოფილების წარმომადგენელი. ლაპარაკი არ უნდა, რომ ბ-ნ ის. კვიცარიძეს დიდი ზარალი მოსდის წიგნის მაღაზიის დაკეტვით, ხოლო თვით მაღაზიის დაკეტვა არაფრით არის გამოწვეული, რადგან აქ იყიდება ყველა ის წიგნები, რომლებიც ამ ჟამად ყველგან იყიდება დაუბრკოლებლად. კარგს იზამდა გუბერნატორის მიერ დანიშნული კომისია, დააჩქარებდეს წიგნების განხილვას.

✦ 27 ამ თვეს საღამოს პირად სატუსაღოდან განთავისუფლეს სახელმწიფო სათათბიროს წევრად ნამყოფი ექიმი გომართელი. იგი სახლამდის მიაცილეს მცველებმა და ამავე მცველების თანხლებით იმავე ღამეს მიიყვანეს რკინის გზის სადგურზე. აქედან ბორჯომში წავიდა, სადაც დანიშნული აქვს ბინა.

# პატარა ფელეტონი

## სანეტარო ამბები.

დღეს უცნაური სურათები დავინახე. მთელმა ქვეყანამ თითქო ფერი იცვალა ჩემ თვალში: შავი გათეთრდა და თეთრი გაშავდა. დილას, რედაქციაში რომ მივდიოდი, გზაში ორი-სამი მღვდელი შემხვდა, რომელთაც, ჩემდა უნებურად, ისეთი მადლიერი თვალით შევხედე, რაიცა მე თითონ ერთობ გამიკვირდა: ნამდვილ უცოდველ, ქვეყნის გამანათლებელ, ცრუ-მორწმუნეობისაგან გაწმენდილ ქრისტიანობის მქადაგებლებად მეჩვენენ და სრულებით ვეღარ ვიცანი ისინი. თვითეული მათი ფეხის გადადგმა, თვალის სხივი და მიხვრა-მოხვრა თითქო უსიტყვოდ ჰქადაგებდა ადამიანთა შორის ძმობა-თანასწორობას. წინანდელი მათი სიმსუქნეც თითქო საოცარი მანქანებით სადღაც კვალ-წმინდად გამქრალიყო. თუ წინად ღერძზე ჩამოცმულ მრგვალ ბურთს წარმოადგენდნენ, ახლა ჩემ თვალწინ ამ ბურთის მხოლოდ ღერძი და შერჩენოდათ; თუ წინად სქლად აბრეშუმის ძაფებ-შემოხვეულ თითისტარს ჰგავდნენ, ახლა ამ აბრეშუმ მოცილებულ ხმელ თითისტარს მოგაგონებდენ. დიდათ მეოცა ყველა ეს, რასაკვირველია და მადლობის თვალით შევხედე ამ საოცარ, ჩვენდა სათაყვანებელ სულდგმულთ, რომელნიც ასე მოულოდნელად ქრისტეს შესდგომოდენ.

მიხეილის ხიდზე ერთ ნაცნობ მსხვილ მემამულეს შევხვდი, დაველაპარაკე და საუცხოვო და სანეტარო ამბავი ამოვიკითხე. იმის სიტყვებს კერძო საკუთრების, მიწათ-მფლობელობის დაღი სრულიად გაჰქრობოდა და მთელ გარეშემო ბუნების და მაღლა ცას ისე უცქეროდა, როგორც არა ამ ბუნების შემქმნელი და მეპატრონე, არამედ ერთ-ერთი იმისი შვილთაგანი, რომელსაც ამ ჩვენთვის ღვთისაგან ნაანდერძევს დედა-მიწაზე თავის ძმა-ადამიანებთან თანასწორი წილი უდევს. იგი აღარ ჰგავდა ახლა საფრანგეთის მეფე ლიუდოვიკს, რომელმაც თავმომწონედ სთქვა ხალხის წინაშე: სახელმწიფო—მე ვარო. მემამულე აღარ მეტყველებდა ახლა—დედა-მიწა მე ვარო, და ამ დედა-მიწაზე თავის ძმა ადამიანების თანასწორ უფლებას აღიარებდა. გული საამოდ ამიტოკდა, მხურვალე გრძნობით გამოვესალმე ამიერიდან ჩემ საყვარელ მსხვილ მემამულეს და გაუდექი გზას.

არ გასულა რამდენიმე წამი და ახალი საამო სანახავი დავინახე. მიხეილის ხიდზე ხელი-ხელ გაყრილი მოდიოდა სამი დღემდის ერთმანეთს დაშორებული ადამიანი: შუაში უბრალო მუშა და მარჯვნითა და მარცხნით მდიდარი. მექარხნე და დიდი „ჩინოვნიკი“, ყველა ამათ სახეზე ძმობა, ერთობა და თანასწორობა ეხატებოდათ. წარჩინებულ მოხელეს აღარ ემჩნეოდა სახეზე, რომ იგი დაბადებიდანვე მუშების მზრუნველად არის მირონცხებული, რის გამო მუშები ვალდებულნი არიან ტყავი გაიძრონ და იგი ოქროთი შემოსონ. მდიდარი მექარხნეც უერთდებოდა მუშებს როგორც ადამიანი თავის სწორ ადამიანებს.

თავი სწორედ სიზმარში მეგონა და მაგრად ვიჩქმიტე საკუთარ ხელზე, რომ გამომღვიძებოდა. მწარე ტკივილი ვიგრძენ, დავრწმუნდი, რომ მღვიძარე ვიყავი, მაღლა ავიხედე და დავინახე ჩემ თვალ წინ გაჩერებული ნაცნობი მეთაური სოციალ-დემოკრატი, რომელმაც სიყვარულით ხელი გამიწოდა და მითხრა: შემინდევ, ძმაო, ჩემი შეცოდება, მაპატიე, რომ ხალხში ამ ხალხის მტრად და მდიდრების ქომაგ ბურჟუად გამოგაცხადე. იმიტომ შევცდი, რომ პარტიამ მამიტაცა, თვალები დამიბრმავა, ერთი სიტყვით გამასოციალდემოკრატა და ყველა არა ჩემი პარტიისანი შემაძულა. დღეიდან კი ვეცდები თვალები ავიხილო და ისევ გონიერი ადამიანი გავხდე. მაშ გევედრები, შემინდევ ძმურადა და დაივიწყე წარსული ჩვენი შუღლი.

ეს რომ სთქვა, უეცრად ყოველ მხრიდან ხალხის აღტაცებული ყვირილი მომესმა. ქუჩები ბედნიერ ხალხით აივსო. „თავისუფლება გამოცხადდა, ვაშა თავისუფლებას, ყვიროდა ყველა: ამიერიდან ყველას შეგვიძლია ძმურად და თანხმობით მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება,“. სალდათებსა და კაზაკებს ქუჩაზე იარაღი დაეყარათ და მცხოვრებლებს ძმურად ეხვეოდნენ.

ჩემი ნეტარების ფიალა აივსო. ფიცხლავ შევიჭერ რედაქციაში, საჩქაროდ ავსწერე ყველა ეს ჩემი ამ დილანდელი სანეტარო ნახული და გაგონილი და რედაქტორს გადავეცი წასაკითხავად, იმანაც წაიკითხა, მაგრამ გადაიხარხარა და მითხრა ამხანაგურად: დღეს პირველი აპრილია, ტყუილების დღე და ალბად შენც იმიტომ დიდი ტყუილებით აგივსია ეს შენი პატარა ფელეტონიო. მაგრამ არა უშავს-რა, დაიბეჭდოს; თითონ მკითხველები გაარჩევენ, რაშია აქ საქმეო. მე სირცხვილისაგან გავშეშდი და უნებურ ტყუილებისათვის მკითხველებთან ბოდიშს ვიხდი.

ი. ნ—შიძე.

## ორიოდე სიტყვა „კახეთის“ მევენახეთა საზოგადოების საზოგადო კრების შესახებ.

გაზეთ „ისარ“-ში (№ 65) მოთავსებული იყო „კახეთის“ მევენახეთა საზოგადოების წარსულ წლის ანგარიში და აგრეთვე თვით საზოგადო კრების მოკლე ანგარიში. ამ წელს საზოგადოებას მოსვლია საერთოდ 14941 მან. და 35 კაპ. ზარალი და კერძოდ ტფილისში—1263 მან. და 66 კაპ. კრება შესდგომია ზარალის მიზეზების ძებნას. მეჭერ-მეტყველ კრებას ამაზე დიდი თავის ტეხა არ დასჭირებია. მიზეზი აღმოჩენილა სამ-სართულიან სარდაფის, შავ და ნესტიან ჯურღმულში მომუშავე მუშებში. „მთელი ზარალი მუშების მეოხებით არის გამოწვეულიო. მუშები თავიანთ მოვალეობას არ ასრულებენ, 8 საათ. მაგივრად დღეში 3—4 საათ. მუშაობენ, რის გამო შეკვეთილი ღვინოს მზადება თავ-თავის დროზე არ სრულდება“ და სხვაო.

ითქვა „მუშები არიან დამნაშავენი“ ო, მორჩა და გათავდა, სხვა მიზეზებზე კრიტიკაც არ დაუძრავთ; ან რა ხელს მისცემდა სხვა მიზეზების ძებნა? ეს ჩვენ არ გვიკვირს. განა მომხდარა ოდესმე, რომ მწარმოებელი კმაყოფილი ყოფილიყოს მუშებისა? არასოდეს არა ყოფილა და არც იქნება. არა თუ ჩვენი ხაზეინებისაგან, არამედ მთელი რუსეთის მწარმოებლებისაგან გაისმის დღეს საყვედური: „მუშებმა დაგვღუპეს, დაგვაქციეს“-ო.

ეს საყვედური გაისმის მას შემდეგ, რაც მუშებმა ცოტად თუ ბევრად ყოფამდგომარეობა გაიუმჯობესეთ. აი რა აწუხებთ, რა აზრჩობთ მწარმოებლებს! მით უფრო დღეს რუსეთში კრიზისია და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ როგორმე გადურჩნენ. რას ღონებენ მწარმოებლები, თუ არა მუშების შევიწროებას? აი, აკი ჩვენს საზოგადოებასაც აურჩევია კომისია ჩვენთან საბრძოლველად!..

ჩვენ „კახეთის“ მუშები, ვაცხადებთ, რომ ზემო მოყვანილი ჩვენდამი ბრალდება **მტკნარი სიცრუეა**. ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ზარალი ჩვენის მეოხებით არ არის მიყენებული.

ზარალი გამოწვეულია თვით სარდაფის ტეხნიკურ პირობების მოუწყობლობისა გამო. სარდაფში საწარმოო მანქანა ძალიან ცოტაა, მაშინ როდესაც მრავლად მოიპოვება ათასგვარი გაუმჯობესებული იარაღი. რაც არის, ისიც უვარგისია. მაგალითად: ბოთლების სარეცხი, ტიზების საცემი მანქანები უვარგისია და არც საკმაოა. ხშირად სარდაფში არ არის წყალი, ბოთლები, ყუთები და სხვა, რის გამოც მთელი დღეობით ჩერდება ხოლმე მუშაობა. ამაში ჩვენ ვართ დამნაშავე, თუ თვით სარდაფის ადმინისტრაცია? ვგონებთ ეს ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. გარდა ამისა, წარმოების ფორმა ძველის ძველია, იგი სრულებით არ შეეფერება დღევანდელ წარმოების ფორმას. ამის შესახებ ჩვენ, მუშებს, არა ერთხელ მიგვითითებია, მაგრამ ვინ გვათხოვა ყური?

საზოგადო კრება ძლიერ განუცვიფრებია 1491 მან. და 35 კაპ. ზარალს ასეთ მოზრდილ წარმოებაში. (საზოგადოების წლიური შემოსავალ-გასავალი აღემატება 3½ მილიონს) და ჩვენ კიდევ გვაკვირვებს, რომ ასეთ მოუწყობელ და მოუწესრიგებელ წარმოებაში, რატომ ათჯერ მეტი არ უზარალნია საზოგადოებას. ეს იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ-კი არ გვიზარმაცნია, არამედ უზომო ფიზიკური შრომა დაგვიხარჯავს და მით შეგვიმცირებია მოსალოდნელი დიდი ზარალი.

მაგრამ ჩვენ გვინდა ფართო საზოგადოების ყურადღება უმთავრესად ერთ გარემოებას მივაქციოთ. სანამ საზოგადო კრება მოხდებოდა, ჩვენ, მუშებმა, შევიმუშავეთ მოთხოვნები და წარუდგინეთ „კახეთის“ საზოგადოების გამგეობას. ჩვენ ამ მოთხოვნილების ასრულების ვადა არ დაგვიდვია, ვუცდიდით საზოგადოების საზოგადო კრებას. საზოგადო კრებაზე-კი აი რა მოხდა: საზოგადოდ ყველა წარმოებაში დღეს კრიზისია; „კახეთის“ საზოგადოებასაც მოსვლია ზარალი. ამავე დროს მუშები მაინც ადგენენ მოთხოვნებს შრომის პირობების გასაუმჯობესებლად. მუშების მოთხოვნების დაკმაყოფილება კიარა, „საზოგადოებას“ უნდა უკვე არსებული პირობებიც კი წაართვას მუშებს. მაგრამ ეს რომ მოახერხონ, ამისათვის საჭიროა ზარალის მიზეზად მუშები იცნონ და რა-კი ამას დაამტკიცებენ, მაშინ, რასაკვირველია, მუშების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ლაპარაკი სულ მეტი იქნება. საზოგადო კრება იწყებს ამ ფანდებს. „ზარალის მიზეზი მუშები არიანო“ ასკვნის ხაზეინების საზოგადო კრება... მაგრამ რაზე ამყარებს იგი ამ დასკვნას? ფაქტებზე? არა, არც ერთი ფაქტი არა აქვთ, აქვთ მხოლოდ ლიტონი სიტყვები „საზოგადოების“ ისეთი წევრებისა, რომელნიც **ახლოსაც კი არ მოჰკარებიან წარმოებას და სრულიად არ იციან, როგორაა აქ დაყენებული საქმე.** ვამტკიცებთ, რომ ბატონ მ. დ. ჩოლოყაშვილის სიტყვები ჩვენს შესახებ **ლიტონი სიტყვებია**, რადგან იგი არც ერთხელ არა ყოფილა ჩვენთან მუშაობის დროს. ბატონ ი. ე. ვახვახიშვილის სიტყვებიც მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, რადგან არ იცის, თუ ჩვენ როგორ ვმუშაობთ, რადგან იგი თავს არ იწუხებს, რომ რამდენისამე ხნით მაინც დარჩეს ბნელ სარდაფებში და საქმეს თვალ ყური ადევნოს...

აი, ამ გვარ ბატონების სიტყვების შემდეგ კრებამ წარმოების ნაყოფიერების დაკლება ახსნა არა წარმოების ტეხნიკურად მოუწყობლობით და სხვა ამ გვარ მიზეზებით, არამედ მუშების სიზარმაცით. კრება, მეტი რომ არა ვთქვათ, აჩქარებულა და ამის მიზეზიც ცხადია—ხაზეინებს არ უნდათ ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილება და რომ ეს მოახერხონ და ფართო საზოგადოების თვალში მართალნი გამოვიდნენ, აქეთ გამოგვედავნენ ჩვენ, მუშებს. ეს ერთგვარი ხერხია იმათ მხრივ...

მაგრამ ასეთი ფანდი ვერ გასჭრის დღეს. ჩვენ, მუშები, ვეცდებით გავაცნოთ ფართო საზოგადოებას საქმის ნამდვილი ვითარება. იქ, სადაც ჩვენა ვართ დანაშაული, ვიქონიებთ იმდენ მოქალაქობრივ გამბედაობას, რომ ვაღიარებთ ჩვენ დანაშაულობას, მაგრამ იქ, სადაც ჩვენ ცილსვწამებენ და სადაც თვით ხაზეინები არიან დანაშაულნი, ე. ი. მიზეზნი წარმოების დაკლებისა, ნუ გაგვიწყრებიან, თუ ყოველსავე სინამდვილეს გამოვაშკარავებთ, და ამით დავანახვებთ ფართო საზოგადოებას, რომ მიზეზი ჩვენ, მუშები კი არა, არამედ **დრო გადასულ თავადების ადამის დროის სამუშაო იარაღი და სრულიად მოუწესრიგებელი სამუშაოს ტეხნიკური პირობებია.**

**«კახეთის» მუშები.**

# წერილი სპარსეთიდან

## რევოლიუციონური მოძრაობა სპარსეთში.

როგორც უკვე უწყის მკითხველმა, მთელ სპარსეთში ორ გვარი მთავრობაა: ერთი ის არის, რომელიც აქამდის იყო და განაგებდა ქვეყანას. ამ მთავრობის დამახასიათებელი თვისება იყო თვითნებობა, უანგარიშო ძარცვა-გლეჯა და პასუხ-უგებელი მტარვალობა; მეორე არის ის, რომელიც განმათავისუფლებელმა მოძრაობამ შეჰქმნა, რომელიც, ხალხის მიერ არჩეული და ანჯუმად წოდებული, ახლა მოქმედებს და განაგებს ქვეყანას. ძველი მთავრობა თავის ადგილზევე დარჩა, მაგრამ ხალხმა გასწყვიტა იმასთან კავშირი. თქმა არ უნდა, ძველი მთავრობა არავითარ საშუალებას არ დაიშურებდა ხალხის მორჩილებაში მოსაყვანად, მაგრამ აკლდა რეალური ძალა, აკლდა გაწვრთნილი და შეიარაღებული ჯარი, რომელსაც შიშის ზარი უნდა დაეცა ურჩ ხალხისათვის. ამ მდგომარეობაში ჩავარდნილი ძველი მთავრობა ნელ-ნელა უყრის თავს ძველ წყობილების მოტრფიალეთ, აძლიერებს მათში ახალ მთავრობის სიძულვილს და მათის შემწეობით ავრცელებს ათას ცილისწამებას სახალხო მართველობაზე და ახალ-ახალ ჭორებს ქვეყნის საშიშარ მდგომარეობაზე. ამავე დროს აიარაღებს „დავლის“ მოტრფიალეებს და ნელ-ნელა ემზადება ძველის წეს-წყობილების აღსადგენად. რასაკვირველია, მთავრობა ყველა ამას სჩადის იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია, უჩინრად, ფარულად, ცხადად-კი აღიარებს ახალ წეს-წყობილებას. ასეთი ორპირობა ძნელი დასაფარავი ხდება, მით უფრო, რომ შეიარაღებას თვალ-ყურს ადევნებს ხალხი.

რასაც ძველი მთავრობა შეიარაღების გარდა სჩადიოდა ახალ წეს-წყობილების წინააღმდეგ, ისიც არ იფარებოდა; სახალხო მმართველობა თავ-თავის დროზე აშკარავებდა ბნელ ძალების მისწრაფებას, მათ მიერ გამოგონილ ხრიკებს აცნობდა ხალხს და ხალხიც თავის მსჯავრსა სდებდა, ხოლო აღსრულებას ავალებდა ან შაჰის და ან თვით ხალხსვე მოჰყავდა აღსრულებაში. ამ ნაირად ბნელ-ძალთა ბევრი მოთავე გააძევა ხალხმა საცხოვრებელ ადგილიდან. ასე მოექცნენ მაგ., მთავარ მუშტეიდს (უმაღლესი სასულიერო პირია) და იმის რამდენსამე დამქაშს. ეს ვაჟბატონები გააძევეს ტავრიზიდან. ასევე მოიქცნენ ურმიაში; აგრეთვე გადააყენებინეს შაჰის მარანდის გუბერნატორი და სხვები. იქამდის მივიდა საქმე, რომ თვით ღვიძლი ძმა შაჰისა ზულუმ-

---

ბით, ქალბატონო, რათა გაჩვენოთ, თუ რამდენად იყო ჩემი ბრალი, რომ გეოგრაფია ისე ცუდად ვისწავლე, რომ შემდეგ ამ წუთისოფელში რიგიანად გზა ვერ გავიკაფე. იმ დროს ხომ ფრანგებმა ყველა საზღვრები არივ-დარივეს და ქვეყნების ყოველ დღე სულ სხვა და სხვა ფრად ღებავდენ: რომელიც წინად ცის-ფერი იყო, უცბად გამწვანდა, ზოგი სისხლის ფერადაც შეიღება. სასკოლო წიგნებში ნაჩვენები მცხოვრებლების რიცხვი ისე აირია, რომ შიგ ეშმაკიც ვერაფერს გაარჩევდა. სოფლად ცხოვრების საერთო სურათიც გამოიცვალა: იქ, სადაც კურდღლებისა და თავად აზნაურობის მეტს ვერაფერს შეხვდებოდით, ახლა ლობიო და ნიორი ხარობდა. ხალხის ხასიათმაც იცვალა ფერი. გერმანელებმა სიმარდე შეიძინეს: ფრანგები კომპლიმენტებს აღარ ამბობდნენ, ინგლისელები ფულს აღარ ისროდნენ ფანჯარაში, ვენეციელები აღარ ცუღლუტობდნენ; თავად-აზნაურობას დიდი დაწინაურება დაეტყო; ძველმა მეფეებმა ახალი მუნდირები მიიღეს; ახალი სამეფოები გამოაცხეს და ცხელ-ცხელ ლავაშებსავით ასაღებდნენ. ზოგი ქვეყნის მეუფენი კი პირ-იქით თავ-თავიანთ სახლკარიდან გამოაბძანეს და იძულებული გახადეს როგორმე სხვა გზით მოეპოვებინათ პური თვისი არსობისა და ამიტომ ზოგი მათგანი ადრევე სხვა ხელობას შეუდგა, მაგალითად—ზოგმა ლუქის კეთება დაიწყო ან... როგორც აქნა, გავათავე, ქალბატონო. ეგ პერიოდი, კინაღამ სული ამომხდა-კი. ერთი სიტყვით, გადაჭრით რომ ვსთქვათ, ამისთანა დროში გეოგრაფია ადამიანს ბევრად არაფრად გამოადგებოდა.

ბუნების მეცნიერების საქმე კი უფრო რიგიანად იყო მოწყობილი. იქ ამდენი ცვლილება როდი მოხდება ხოლმე: იქ სამუდამოდ გამოჭრილი სურათებია—მაიმუნის, კენგურუს, ზებრას, მარტორქის და სხვ. რადგან ეს სურათები მეხსიერებაში აღბეჭდილი მქონდა, ამიტომ ხშირად მომხდარა ხოლმე რომ ზოგი ადამიანი დანახვისათანავე როგორღაც ძლიერ მეცნაურებოდა.

მითოლოგიაშიაც მარჯვედ ვიყავი. გულით მიყვარდა ტიტველა ღმერთების ხრო, რომელიც ისე მხიარულად მართავდა ქვეყნიერებას. არა მგონია, რომ ძველ რომში რომელსამე შეგირდს ჩემზე უკეთ ესწავლოს ზეპირად თავისი კატეხიზმის უპირველესი თავი—მაგალითად ვენერის არშიყობა. გულ-ახდილად მოგახსენებთ, ძველი ღმერთების ამბავს ზეპირად რომ ვისწავლიდით, სამუდამოდ დავიმახსოვრებდით ხოლმე, და ეგებ დიდად მოგებულნიც არ გახლდეთ ჩვენი ახალ რომაულ სამების და ჩვენი ებრაული მარტო ღვთაებისაგან; ეგებ ძველი მითოლოგია ნამდვილად ისე გარყვნილი რომ იყოს, როგორც ყველა გაიძახის; მაგალითად, ძრიელ პატივსაცემი მოსაზრება ჰქონდა ჰომეროსს, როდესაც ყოვლად საყვარელ ვენერას გვერდში მეუღლე დაუსვა.

ი. ნაკაშიძე.

(გაგრძელება იქნება)

სულთანი, გუბერნატორი ისპაჰანისა, გადააყენებინა ხალხმა, როგორც მკითხველს დეპეშებიდან უკვე ეცოდინება.

ამ ბოლო დროს თავრიზში ხალხი უფრო ბეჯითად ადევნებს თვალყურს მთავრობის მიერ ბნელ-ძალთა შეიარაღებას. იარაღის საწყობი, როგორც წინად ვაუწყე მკითხველს, უკანასკნელი გაფიცვის დროს ანჯუმის ხელში გადავიდა. თეირანიდან გამოგზავნილი ბრძანებით იარაღი უნდა თეირანში წაეღოთ. ანჯუმის დაუკითხავად იარაღის საწყობი გააღეს და იარაღი თეირანისაკენ გაისტუმრეს 15 მარტს ანჯუმამ დროზე გაიგო ეს ამბავი, გამოუყენა მდევარი და გარედ გაცილებული იარაღი უკანვე დააბრუნა.

ამის გამო კიდევ უფრო გააძლიერეს სახალხო მილიცია, დაბრუნებული იარაღი დაურიგეს ახლად ჩაწერილ მილიციონერებს, რომელთაც 16 მარტს ბეჯითი ვარჯიშობა ჰქონდათ სროლაში ქალაქ გარედ, სომხების სასაფლაოსაკენ. ყოველ პარასკეობით დიდძალი ახალგაზდობა ვარჯიშობს სროლაში, ემზადება ბნელ ძალების დასახვედრად.

ცხადია, არც ბნელ ძალებსა სძინავთ: თავრიზში დადის 60 ახლად მოსული, რომლებზედაც ამბობენ, რომ ესენი რუსეთიდან არიან დავლის საშოვნელად მოსულნიო. ხმა არის, რომ ამათ უნდათ გამოიწვიონ სომეხ-თათართა ჟლეტა-ხოცვა და თვით ოქროს თევზების ჰერას შეუდგნენ ამღვრეულ წყალში. რამდენად მართალია, ძნელი სათქმელია, მაგრამ აქაური მკვიდრი სომხობა საკმარისად მომზადებულია ამისთანა შემთხვევისათვის, იარაღიც უკეთესი აქვთ და გაწვრთნილი მილიციაც. თქმა არ უნდა, რომ თუ დავლ-ს გულისათვის მისულნი გამრავლდნენ, ბაზარში შეიძლება მოახდინონ მკვლელობა და ძარცვა-გლეჯა, ხოლო უბნებში, სადაც სომხობა სცხოვრობს, ვერ მოახერხებენ.

ანჯუმა თავრიზისა ყოველ შემთხვევით სარგებლობს: ხალხს ამცნოს, რომ იგი არ აიყოლიონ ბნელმა ძალებმა, არ დააღვრევინოს უდანაშაულო სისხლი, არ მისცეს შემთხვევა უცხოელებს საშინაო საქმეებში ჩარევისა.

როგორც ზემოთ ვთქვი, თავრიზიდან წაღებული იარაღი უკან დააბრუნეს. დააბრუნეს 17 ცხენის საპალნე თოფი და პატრონები. ეს ამბავი უყურადღებოდ არ დარჩა. 18 მარტს თავრიზის მეფის მოადგილისაგან ანჯუმამ მიიღო მიწერილობა, იგი ანჯუმას უგზავნიდა რუსეთის კონსულის შეკითხვას და პასუხს სთხოვდა. რუსეთის კონსულის შეკითხვაში ნათქვამი იყო, რომ შაჰის მოთხოვნილებით ადგილობრივ მთავრობის მიერ თეირანში გაგზავნილი იარაღი, მთავრობის სურვილის წინააღმდეგ, უკან დაუბრუნებელ იქმნა. ეს ცხადი ნიშანია იმისი, რომ თავრიზის ოლქში ანარქიაა, რაც საშიშ მდგომარეობაში აგდებს რუსეთის ქვეშევრდომების სიცოცხლეს და ქონებას. შემატყობინეთ, ვინ კისრულობს უზრუნველ-ყოფას რუსეთის ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონებისასაო.

მთელი დღე ანჯუმას კრება ჰქონდა, რომ შეემუშავებინა პასუხი შეკითხვაზედ. როგორც გავიგე, ანჯუმას ორი პასუხი შეემუშავებინა, ერთი სიტყვიერად გადუცია, მეორე წერილობით. სიტყვიერ პასუხში ანჯუმა თურმე უთვლის: ჩვენ შინაურ საქმეებში გარევის მაგიერ და იმაზედ მითითებისა, ვითომ აქ ანარქია იყოს გამეფებული, ძალიან კარგს იზამდით, თქვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩაგეხედნათ, ჩარევითაც იქ ჩარეულიყავით, სადაც მართლა უცნაური და ისტორიისათვის ჯერ უცნობი, ძალ-მომრეობა, თვითნებობა არის გამეფებული, რომლის წესი თუ უწესოება თვით მთავრობასაც ვეღარ გაუგია და რომლისთვისაც ჯერ არც ერთ ენაზედ სახელიც არ გამოუკონებიათ; ჯერ იქ შეიტანეთ წესიერება და რუსეთის ქვეშევრდომთა სიცოცხლე-ქონებაზედ მზრუნველობა ჯერ იქ გამოიჩინეთ და მერე ჩვენც დიდის სიამოვნებით მოგეგებებით, მივიღებთ თქვენგან გაკვეთილებსაო. წერილობით პასუხში ნათქვამია თურმე: თქვენ რუსეთის კონსულად ხართ გამოგზავნილი მთავრობის წინაშე, ჩვენი უმაღლესი მთავრობა არის შაჰი, რომელთანაც რუსეთის დესპანია თეირანში; მიჰმართეთ თეირანთა დესპანს და ის შეეკითხება შაჰის რუსეთის ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონების მზრუნველობაზედ, თუ ამას საჭიროდ ხედავთ, თუმცა თავრიზის ოლქში ყოველთვის მშვიდობიანად და უზრუნველად უცხოვრიათ რუსეთის ქვეშევრდომთ და არა ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომელიც რითიმე ეჭვსა ჰბადებდეს რუსეთის ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონების უზრუნველ-ყოფაზე. რაც შეეხება იარაღს, ეს ჩვენი შინაური ამბავია.

ამასთან გავრცელდა ხმა, რომ შეკითხვა რუსეთის კონსულისა გამოწვეულია თანახმად ინგლისის, საფრანგეთის, ოსმალეთის და რუსეთის კონსულების კრების გადაწყვეტილებისა, რადგა ვითომ ყველა ეს კონსულები საშიშრად სცნობენ უცხოელთა მდგომარეობას; საქმის გამოსარკვევად შეკითხვა დაევალა რუსეთის კონსულსაო. ზოგნი ამბობენ, ეს შეკითხვა მნიშვნელობის გასაძლიერებლად გამოუგონიათ რუსეთის ერთგულ თავრიზელებსაო.

18 მარტს სომხების კლუბში დანიშნული იყო ლექცია ორი ხალხის სოლიდარობაზედ. ლექცია უნდა წარმოეთქვა ბაქოდან მოსულს აგიტატორს, მაგრამ იგი ანჯუმას კრებას დაესწრო და ლექციაზედ ვეღარ მოვიდა. შეკრებილი ხალხი დაიშალა. **აჯგი მირზა**.

## პროვინციის ცხოვრება

**ს. თ მაკონი.** (სენაკის მაზრა). მკითხველმა უკვე იცის, რომ წელს სამეგრელოს სხვა ათას გაჭირვებასთან ერთად, კარს მოადგა ულმობელი შიმშილი. ხალხის გულშემატკივართა შორის ჩვენი ქვეყნის მკვიდრნი აქა-იქა კერძო შემოწირულებასაც კი ჰკრეფენ ამ საშინელ განსაცდელის თავიდან ასაცილებლად. ეხლა მთავრობის წარმომადგენელნიც კი იჩენენ ვითომ ხალხისადმი მზრუნველობას და ადვიად დაკარგულ ნდობის მოსაპოვებლად რაღაც ახირებულ განკარგულებას ახდენენ.

მომრიგებელმა შუამავალმა სოფლის მოხელეთა პირით გამოიძია ხალხის მდგომარეობა და რაკი შეიტყო, რომ ხალხს სურსათი უჭირს, დახმარება აღუთქვა. რა პირობით აპირებენ დახმარების აღმოჩენას, მოწერილობიდან არა ჩანს, ხალხს კი მწარე გამოცდილებით სცოდნია, რომ ასეთი დახმარება ხშირად ძვირად უჯდება ხოლმე. სამეგრელოში წინადაც ყოფილა შიმშილი და მთავრობას დამშეულთათვის დაურიგებია ყოვლად უვარგისი სიმინდი, რომელიც დასჭდომია ფუთი რვა აბაზად. ვინც დანიშნულ დროზე ვერ შეიტანა ხვედრი ფული, იმას გაორკეცებული სარგებელი გადაახდევინეს. ეხლა კრებაზე ხალხმა განაცხადა, რომ სოფლად შიმშილობა უკვე დაიწყო; მცხოვრებთა დიდს ნაწილს დღეს არა აქვს საზრდო და არც სახსარი მოეძებნება იმის შესაძენად, მაშასადამე, სთქვეს მათ, ჩვენ დაუყოვნებელი და აუცილებელი დახმარება გვჭირია, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა პირობით გაგვიწევენ დახმარებას. ყველაზე უფრო მადლიერი ვიქნებით, თუ ჩვენს ფულს ბანკის ფულად წოდებულს, დაგვიბრუნებენ. ჩვენ უკეთ ვიცით, ვის როგორ უჭირს და ვის რამდენით უნდა დავეხმაროთ. ამ ფულის დანიშნულებაც, ვგონებთ, ეს უნდა იყოსო.—სთქვა ხალხმა და სხვა პირობებით დახმარება უარ-ჰყო.

ჩვენ კარგათ ვიცით, ადმინისტრაცია ამას თითზე დაიხვევს და საქვეყნოდ გამოაცხადებს, რომ ხალხს არა ჭირს, თორემ დახმარებაზე უარს არ იტყვისო, და ხალხზე მზრუნველობა ამით გათავდება. **აქაური**.

## რუსეთი

✦ **მთავრობას შერიგება არ უნდა.** პეტერბურგში ვიღაც ეპიფანოვს უთხოვნია, ნება მომეცით კრება მოვახდინო იმ პირებისა, რომელნიც თანაუგრძნობენ მთავრობის განზრახვას ოპოზიციასთან მორიგების შესახებო. ეპიფანოვს მთავრობამ კრების ნება არ დაჰრთო.

✦ **საიდუმლო საქმისთვის ემზადებიან.** გაზეთი „რეჩი“ იუწყება, ტულიდან „რუსთა კავშირის“ საბჭომ საიდუმლო შინაარსის დეპეშა მიიღო. დეპეშა ძალიან მოკლეა, კითხულობენ. „როდის გაიმართება თამაშიო?“ რა აზრი აქვს ამ დეპეშას, კავშირის მეტმა სხვამ არავინ იცის, მიხვედრით კი შეიძლება მივხვდეთ, რომ ეს ამბავი კარგს არაფერს უნდა მოასწავებდეს. ალბად აქ სათათბიროს გარეკაზე ან ჟლეტა-ხოცვაზეა ლაპარაკი.

✦ **ჟურნალ ბილოეს აკრძალვა.** 23 მარტს პეტერბურგის ბეჭდვითი საქმის კომიტეტმა დაიჭირა ცნობილ ჟურნალ ბილოეს მარტის ნომერი.

✦ **ქადაგების ფასი.** გაზ. „ნიჟ. ლისტოკ“-ში ერთი სოფლის მღვდელი თავის გულის წყრომას უცხადებს საეკლესიო „მოხელეებს“ და ამბობს შემდეგს: „იცით მკითხველო, რა ფასად შეგიძლიანთ იყიდოთ ეკლესიაში მღვდლის თითეული ქადაგება? სწორედ ერთ მანეთად. აი როგორ. გასულ წელს ნიჟეგოროდის სასულიერო კონსისტორიამ დაავალა ეპარქიის ყველა მღვდელს წარედგინათ 6 ქადაგება; წელს კი იმათ, ვისაც ეს ქადაგებანი არ წარუდგენია, ექვსის მაგიერ ცხრი ქადაგების ან ცხრა მანეთის წარდგენა დააკისრა. ასე რომ, როგორც აშკარად სჩანს, თვით კონსისტორია თავის ერთგულ მსახურთა თვითეულ ქადაგებას მანეთად აფასებს.

✦ **მემარცხენეთა აგიტაცია.** პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტს ცნობები მოსვლია რამდენიმე გუბერნიიდან იმის შესახებ, რომ იქ გაძლიერებულა ხალხში მემარცხენეთა აგიტაცია, რის გამო დეპარტამენტი ადგილობრივ თავის საიდუმლო აგენტებს ჰგზავნის.

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მარტი.

**პეტერბურგი** სიმბირსკში მოქმედებს ბრბო; იგი იარაღს ართმევს ისეთ პირთ, რომელთაც მთავრობისაგან ნება-რთვა აქვთ აღებული რევოლვერების ტარებისა. —კიევის გუბერნიის ბელოცერკოვის გიმნაზიაში ყუთი გასტეხეს და 1200 მანეთი სახელმწიფო ფული მოიპარეს. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.—ლუგანსკში ვავლოვსკის მაღაროში 12 შეიარაღებული კაცი თავდაესხა მოიჯარადრეს პანოვს; ააფეთქეს ყუმბარაც. გაიტაცეს 800 მანეთი, არავინ დაჭრილა. ნოვომოსკოვის მაზრის პოლოვიცას ახალშენში მოჰკლეს მემამულე ქალი დიკი და იმისი ვაჟი.

**ლონდონი**. როგორც «სტანდარტს» ქაირიდან ატყობინებენ, ეგვიპტეში დღითიდღე იზრდება ნაციონალური მოძრაობა. მკვიდრნი რაც დრო გადის, უფრო უკმაყოფილო თვალით უყურებენ ევროპიელებს. მკვიდრთა უბნებში ევროპიელებს არა ერთხელ დაეცნენ. ამ დღეებში ერთი იტალიელი და ერთი ეგვიპტელი წაიჩხუბნენ, ეგვიპტელს თავისიანები მიეშველნენ და იტალიელი სასიკვდილოდ დასჭრეს. იტალიელის თანამგზავრმა ერთი ეგვიპტელი დანით მოჰკლა,

**ლოძი**. მთელი დღე როგორც შუა ქალაქში, ისე განაპირა უბნებში შეტაკება იყო მუშათა შორის პარტიულ ნიადაგზე. რამდენიმე მოკლულია; მძიმედ დაჭრილი ბევრია.

**ლონდონი**. «დეილ-ქრონიკელ»-ს ნიუკესტლიდან ატყობინებენ: დამტკიცდა, რომ ახლა ხან აღმოჩენილი იარაღის საიდუმლო საწყობი რუსეთის ან ფინლიანდიის სარევოლიუციო მოძრაობისთვის იყო შეძენილი. პოლიცია დაეძებს ვიღაც კისტს, როგორც ფიქრობენ, პოლონელ ებრაელს, რომელიც იმ სახლში სცხოვრობდა, სადაც იარაღი იპოვნეს. კისტი იარაღის შეძენის მთავარი აგენტი უნდა იყოს,

**ბერლინი**. დანიელის ტიდემანის სახლში, ერთ უმთავრეს ქუჩაზე, მივიდა მუშა ბუზე და ტიდემანს მუქარის წერილით «შავი ნიღაბის კომიტეტის» სახელით 500 მარკა მოსთხოვა. ტიდემანმა ჰკითხა მუშას: ხომ არ გადაირიეთ? მაშინ მუშამ დაიძახა :«ხელები ზევითა»-ო და რევოლვერი დაუმიზნა. ტიდემანი არ შეშინდა და მუშას პირდაპირ ეცა. თუმცა მუშამ ოთხჯერ გაისროლა და ტიდემანი ხელში დასჭრა, მაგრამ ტიდემანმა მაინც არ გაუშვა და პოლიციას დასცა. მუშას ჯიბეში შავი ნიღაბი უპოვნეს.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


## განცხადებანი

**მაქვს** პატივი ვაცნობო ქალაქ **ერევნის**, განჯის და კახეთის მევენახეებს და ღვინის ვაჭრებს, რომ ქალ. ტფილისში, ხოსროევის ქარვასლაში 1 აპრილს გაიხსნება საწყობი კავკასიურ ღვინოებისა. სასტუმროების, რესტორანების და სხვა ამ გვარ სავაჭროების პატრონთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების წყალობით, გაფიცვა აიხსნა და უთანხმოება, მუშების ორ პარტიის შორის ჩამოვარდნილი, თავიდან აცილებულ იქმნა და არავითარი დაბრკოლება აღარ არის მოსალოდნელი. ვთხოვ ყველას, წინანდებურად მოგვაწოდონ ღვინოები.

(2—17—2 პატივისცემით **მოიჯარადრე**.

## თვით-მასწავლებელი

გამოვიდა ახალი დაუმჯობესებული სახელმძღვანელო-ჭრა-კერვისა ე. ალმაზოვის მეთოდით, რომელიც 3 ნაწილისაგან შესდგება. პირველი ნაწილი: ქალისა, ბავშვისა და კაცის საცვალი. მეორე ნაწილი: ტანისამოსი ბავშვისა (ვაჟებისა). მესამე ნაწილი: მეთოდი სწავლებისა. ეს წიგნი ძალიან მოხერხებულია პროფესიონალურ სასწავლებლებისთვის. მეთოდის ავტორი ამ წიგნით ხელმისაწვდენ ფასად ამზადებს მასწავლებლებს პროფესიონალურ სკოლებისთვის, აგრეთვე აძლევს ქალის ტანისამოსის, საცვალის და ბავშვების (ვაჟების) კოსტიუმების ჭრის გაკვეთილებს. წიგნის ფასი 2 მ. 60 კ. ადრესი: ნემეცკაია ქუჩა, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ, 2. 3, ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი ე. ალმაზოვისა. (1—22—1)

**მე მიხეილ ალექსანდრეს ძე გაგაროვი** ვიწვევ სამედიატორო სამართალში **იაგორ თავრდგელიძესა**, რადგან იგი აქეთ-იქით იძახის, რომ მე ვარ, ვინცა ვარ, რადგან იგი იმყოფება ცუდად. ჩემის მხრით ვიწვევ ორ კაცსა სიმართლის გასარჩევად: ნიკოლაი ლევანიძესა და კოწია პერტახიასა. თითონ ვინც სურს, ის ამოირჩიოს. ქალაქ ალექსანდროპოლი. **მიხეილ ალ. გაგაროვი**.

(3—23—1)

**ქართველ** ახალგაზდა მწერალთა, მთარგმნელთა, წიგნების გამომცემელთა და მესტამბეთა საყურადღებოდ. ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

**ადრესი**: ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა, № 12. **პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე**.

(30—უ.—9) ია ეკალაძე-ცინცაძე.



კომისიონერი მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი

### მ. ე. ფრიდონოვი

**ტფილისი, სერგიევის ქუჩა**, № 11.

აწვდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:

შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს“, საბერველებს, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.

შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ **„სკრასთან“**. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან“**. (50—751—29



# ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი**: პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

ნარდაად შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“

ტელეფონი № 346, **ტფილისში**, ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—13)